ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№15 (49) ივნისი, 2006 წელი

ფასი 30 თეთრი

„მიუახლოვდით ღმერთს და მოგიახლოვდებათ“...

„მიუახლოვდით ღმერთს და მოგიახლოვდებათ, გაისუფთავეთ ხელები ცოდვილნი და განიწმინდეთ გულები ორგულნი... დაიმდაბლეთ თავი უფლის წინაშე და აღგამაღლებთ თქვენ“... წმინდა მოციქულის ეს სიტყვები გვახსენებდა თავს იმ დღეს ხვამლის სანახებს რომ შევუყევით...

თითქოს ახალი აქ არაფერი იყო, მაგრამ სული გვევსებოდა სითბოთი და სიყვარულით თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე, რადგან ღმერთის მიახლოვებას ცდილობდა თითოეული ჩვენგანი, თავის დამდაბლებას ცდილობდა და გულების განწმენდას.

მზე ისევ ჩვეული ძალით ანათებდა „განძთსაცავის“ სანახებს, მაღლობის ყვავილებიც იმ დღისთვის გაკეკლუცებულიყვნენ თითქოს, ხალხის ქარავანს ბოლო არ უჩანდა, გზას დასასრული და აი, ისიც ხვამლის „წმინდა გიორგის“ სახელობის პატარა და კოპწია ტაძარი—სიწმინდეშენახული და სუფთა, დილის მზემ ოდნავ გადაინვერა თუ არა, სულ სხვაგვარი გახდა იქაურობა—მიუწვდომელი, სულისშემძვრელი და რაღაც ამოუცნობი.

მალე ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ, მამა ცოტნემ და მამა გიორგიმ წირვა აღავლინეს და ხვამლის კოპწია ტაძრიდან დალოცეს სრულიად საქართველო, ლეჩხუმი, მრევლი...

მეუფე სტეფანეს ქადაგება, როგორც ყოველთვის ღრმა დატვირთვით გამოირჩეოდა, გვახსენებდა, რომ „ნათელი ქრისტესი გაგვანათლებს ყოველთა“, რომ მართლმადიდებელი ადამიანი უპირველესად ამ ნათელის ხილვის, ხოლო შემდეგ მისი მიღების ღირსი უნდა გახდეს. ამის მიღწევა მართლია უძნელესია, მაგრამ ეს არის სწორედ ჩვენი ცხოვრების აზრი და მიზანი.

წირვაც გასრულდა... თითქოს ყველას გვეზარებოდა ამ ადგილიდან დაშვება, დატოვება. მთის სუსხმაც დაუბერა, ხალხის ქარავანი თავის მწეყმსმთავართან ერთად თავქვე დაეშვა.

ღმერთი ბევრ ასეთ დღესასწაულებს გვჩუქნის, ბევრჯერ გვაძლევს შესაძლებლობას სულის გადარჩენისა, ვეცადოთ ოდნავ მაინც განვიცადოთ მაცხოვრის მიერ განვლილი უმძიმესი ნამების გზა, რათა დიდი სულიერი სიხარულით შევხვდეთ თითოეულ ქრისტიანულ დღესასწაულს!

მარინა სვანიძე



ანეზიის აკვანი

ბეგობბო, ხეიძლზე ბძყვ.
ნახთ ზოიპროლ ბოენებს
ის ბოენების სიოყრებ
ბოეგონოს იქნებ?!
დიგიშეენების ყორთ სბენს
სიო, ქაბის ლიღაბი
თიეგდ იყვი ლეჩხო�ia
ბოეზიის აკვანი.
ლექსი რაბ სოლ სხვ ბრის,
შენი თეგლით ნანახი,
ბრ ჭონოლს როგორ შენის
ბოსრიბლე კალბმახი.
იქნებ ჩეშზე ოკეთესი,
ლექსი თიეგდ დაბნერო.
ბეიყბყენს, ბრ დაგლოენს,
ფიქრი ბაღლით ნაბეკანი,
თიეგდ იყვი-ლეჩხოcinia
ბოეზიის აკვანი.

ინტერვიუ მაღალი პასუხისმგებლობით და სიახლეებით

*ამ პიროვნების სავიზიტო ბარათი თვით მისი ცხოვრების თითოეული დეტალი გახლავთ. **გიორგი ჯვირიაშვილზე** სიმართლე გითხრათ ცუდის თქმა გაგიძნელდებათ. იგი ჩემი მეგობარია და ძალზედ მიჭირს სიტყვაუხვობა, რადგან თვითონ ყველა ჯერ თვისებასთან ერთად თავმდაბლობის უდიდეს ნიჭს ფლობს.*

გიორგის თანამდებობები არასოდეს აუვიჩევდა, მის პიროვნებას, ადამიანობის, გულწრფელობის, სიკეთის მარცვლებს ჰმატებდა იერარქიის თითოეულ საფეხურზე. იგი ბევრს უყვარს და ნაღლები მტერი ჰყავს, დიდი ცრაგედიაც გადაიტანა და ჩაორნიც გვერდით დაუდგა. ახლა კიდევ ერთ სამსახურს ჩაუყენეს სათავეში. მას პასუხისმგებლობის გრძნობა იმ დოზითა აქვს, რომ მუშაობა არ გაუჭირდება, ადამიანებთან ურთიერთობაში კი დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის...

გოგი კვირიკაშვილი დაიბადა 1961 წლის 4 აპრილს. 1985 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, კვების საწარმოთა მანქანებისა და აპარატების სპეციალობით.

მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1987-1991 წლებში მუშაობდა რაიონის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1992-1995 წლებში მუშაობდა რაიონის გამგეობის მთავარ სპეციალისტად.

1996 წელს დაინიშნა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ.

2006 წლის მაისიდან რაიონის სამსახურების სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ დაინიშნა კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სამსახურის ხელმძღვანელად.

ჰყავს ორი შვილი

როგორია ახლადშექმნილი სამსახურის სტრუქტურა?

რაიონის კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სამსახურის სტრუქტურაში შედის შემდეგი საშტატო ერთეულები: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, მთავარი სპეციალისტები კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროებში, დამხმარე სპეციალისტი და სამსახურის ბუღალტერია.

დღეისათვის ყველა საშტატო ერთეული დაკომპლექტებულია პროფესიონალი, გამოცდილი კადრებით.

თქვენი აზრით ახალი სტრუქტურის შექმნა რა დადებით შედეგებს მოგვცემს?

პრობლემა მეტად აქტუალურია და ორი აზრი არ არსებობს არის გარკვეული სიძნელეები. თუმცა ველოსიპედს გამოგონება არ სჭირდება, აღნიშნული სტრუქტურა წარმატებით მუშაობს საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, საქართველოს არაერთ ქალაქსა და რაიონში.

მმართველობითი აპარატის ოპტიმიზაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო და უფრო რეალური ხდება.

დადებითია ის, რომ იზრდება გამჭირვალობა ყველა კუთხით, ძლიერდება პირველი ხელმძღვანელის ფუნქცია მოცემული დარგების განვითარების საკეთილდღეოდ. ალბათ დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

როგორ შეაფასებდით თქვენს კანდიდატურას ამ საპასუხისმგებლო სამსახურის ხელმძღვანელად?

რომ გითხრათ იდეალური ვარ თქო, ალბათ არ ვიქნები მართალი, მაგრამ მიუხედავად სხვადასხვა პრობლემისა მიმაჩნია, რომ შემწევს უნარი თავი გავართვა დაკისრებულ მოვალეობას.

რაც მთავარია ამ თანამდებობაზე ქუჩიდან არ მოვსულვარ. თითქმის ორი ათეული წელია რაიონში ვმუშაობ სხვადასხვა პასუხსაგებ სამსახურში და თავი არასოდეს შემირცხვენია. გამაჩნია საქმიანობის ჩემეული ხელწერა—მაღალი პასუხისმგებლობა და საქმის კეთების დიდი ენთუზიაზმი. მაქვს მუშაობის სერიოზული

გვ.2

ანონსი, ანონსი, ანონსი

„არც რა მასზე უცკბესი და უკეთილშობილესი პროფესია მეგულება ქვეყნად და არც რა—მასზე უძნელესი და პასუხსაგები“ გვ. 3

მაღალი პასუხისმგებლობით და სიახლეებით — ინტერვიუ გიორგი ჯვირიაშვილთან გვ. 1-2

„ტრაქტორიჭაბი-2“ ბრწყინვალე გაშარჯვებით გვ. 2

ინტერვიუ მაღალი პასუხისმგებლობით და სიახლეებით

(დასასრული)

ლი პრაქტიკული გამოცდილება ახალგაზრდობასა და სპორტში. კულტურის სფერო რა თქმა უნდა შედარებით უცხოა თუმცა რაიონის ხელმძღვანელობის, მმართველი პარტიის მხარდაჭერით, ადგილზე პროფესიონალების თანადგომით მჯერა, პრობლემები თანდათან მოგვარდება.

რა სიახლეები და ცვლილებებია მოსალოდნელი ახალ სამსახურში?

სიახლეები და ცვლილებები ახლადშექმნილ სამსახურში უკვე დაწყებულია. გადახალისდა რაიონის სპორტის სფეროს ხელმძღვანელი რგოლი. სამსახურის მთავარ სპეციალისტად სპორტის დარგში დაინიშნა გია სილაგაძე–ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის დიდი ენთუზიასტი.

გვყავს სპორტული სკოლის ახალი დირექტორი–თავაზიანი, წესიერი ახალგაზრდა კაცი–ნური ხეცურიანი, რომელიც პროფესიონალი ფიზკულტურელია.

სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილედ საქმიანობას შეუდგა აფხაზეთის ომის მონაწილე, სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში კობა ქომეთიანი.

ახალი სისხლის გადასხმა რაიონის სპორტისათვის დადებითი მუხტია.

–რაიონში ყალიბდება სახალისო ფეხბურთის სკოლა დანია-შვედეთის ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში. 8-12 წლამდე ასაკის ბავშვების მონაწილეობით ქ. ცაგერის სტადიონზე ერთი კვირის განმავლობაში ჩატარდება საინტერესო ღონისძიებები. მასობრიობა, მუსიკა და გართობა ჩვენი ბავშვებისთვის საინტერესო სიახლე იქნება.

–სამსახურის უფროსის მოადგილედ დაინიშნა ლეჩხუმის სახელოვანი ახალგაზრდა ლოტბარი ზაზა ყურაშვილი, რაც სასიხარულოა.

–ვფიქრობთ, აღვადგინოთ ცაგერის დიდი ტრადიციების მქონე ცაგერის სახალხო თეატრი, პირველ ეტაპზე ვგეგმავთ ქუთაისიდან გამოცდილი რეჟისორის მოწვევას.

–ჩვენ ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ დიდი მომავლის მქონე ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმზე და მის შემდგომ განვითარებაზე.

იურიდიულ პირებად ყალიბდება კულტურის სფეროში სამხატვრო და მუსიკალური სკოლები.

შემუშავების პროცესშია რაიონის საკლუბო და საბიბლიოთეკო ქსელის ახალი მოდელი.

მუშავდება ახალი პროგრამები რაიონის ახალგაზრდობის სფეროში.

ასე რომ ცვლილებები, სიახლეები გარდაუვალია, რომელთა მიზანი არსებული მდგომარეოიბს არსებითი გაუმჯობესებაა.

რა აზრის ხართ შემცირებებთან დაკავშირებით?

ბუნებრივია ეს მტკივნეული პრობლემაა

და ნებისმიერი ხელმძღვანელისათვის არახელსაყრელ ფონს ქმნის.

მიმაჩნია, რომ ამ საქმეში სიფრთხილეა საჭირო. თუმცა შემცირება, რომელიც საქმის ინტერესებიდანაა ნაკარნახევი, უნდა განხორციელდეს.

რაიონის ბავშვთა და მოზართა სპორტულ სკოლაში შემცირდა 12 თანამშრომელი, რომელთა უმრავლესობა უფუნქციო იყო.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით არ არის გამორიცხული ზოგიერთი საკლუბო დაწესებულებების გაერთიანება. ანალოგიურად შეიძლება მოხდეს საბიბლიოთეკო ფონდების დამსხვილება, ვმუშაობთ ორ ვარიანტზე, რომლებსაც წარვუდგენთ რაიონის გამგეობას, რა თქმა უნდა ვიხელმძღვანელებთ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მითითებებით.

ყველა შემთხვევაში ბოლომდე დავიცავთ პროფესიონალი, საქმის ერთგული მუშაკების ინტერესებს და ვიზრუნებთ, რომ ისინი უმუშევარნი არ დარჩნენ.

მაშინ, როცა მწვავედ დგას რაიონში უმუშევრობის პრობლემა უნდა გამოირიცხოს 2 ადგილზე ერთი და იგივე პიროვნების მუშაობა.

ხომ არაფერს დაამატებდით?

დიდ მადლობას მოვახსენებ რაიონის ხელმძღვანელს ბატონ ვახტანგ კერესელიძეს, საქართველოს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, პირადად ბატონ ვალერი გიორგობიანს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

ვეცდებით გავამართლოთ მათი იმედები.

გმადლობთ!

ინტერვიუ მიჰყავდა
მარინა სვანიძეს

„ოქრობიჭები-2“ ბრწყინვალე გამარჯვებით

მას შემდეგ, რაც რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში მხიარულთა და საზრიანთა კლუბების კონკურსი გამოცხადდა, რომელსაც ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება ხელმძღვანელობდა და შესაბამისად ჩვენს რაიონში ამ საქმეს თამილა ჭაბუკიანი უდგა სათავეში, ცაგერის საშუალო სკოლამ საფუძვლიანი მზადება დაიწყო. გამოცდილი ხელმძღვანელის—დავით ცვარიანის სცენარით და ორგანიზებით. გუნდმა ილბლიანი სახელწოდებაც მოიძებნა—„ოქრობიჭები 2“, გასულ წლებში „ოქრობიჭების“ პირველმა თაობამ ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა ასეთ კონკურსში, ამდენად, იმედი გამარჯვებისა იმთავითვე გვქონდა...

სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძე კონტროლს უწევდა და გულისყურით ადევნებდა თვალს თითოეულ რეპეტიციას, მუსიკალურ მხარეს კი ქალბატონი რუსუდან ყურაშვილი ხელმძღვნელობდა, რომელსაც შემდეგ მაკა დავითულიანიც შეუერთდა, ბიჭებს ჩაცმულობაზე, ტრანსპორტირებასა და დაფინანსებაზე კი ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება ზრუნავდა, ასე რომ, სრულიად ორგანიზებული გუნდი, რაც მთავარია, შესანიშნავი წევრებით, ნიჭიერი, არტისტული და შემოქმედი ბიჭებით, დავით სალინაძის კაპიტნობით ამბროლაურისაკენ გაეშურა. უკან კი გულშემატკივართა მართლაც უზარმაზარი არმია გაჰყვა.

პირველივე ნომინაციაში, რომელსაც წარდგინება ერქვა, ცაგერის საჯარო სკოლის გუნდის უპირატესობა გამოიკვეთა, რასაც შემდეგ მოჰყვა ნომინაციები მუსიკალური, სატელევიზიო გადაცემა, გადაცემა ღამის შოუს ელემენტების მიხედვით, ჩვენი მხარე— 2050 და რაშიც დამსახურებულად ილებდნენ ბიჭები მხურვალე აპლოდისმენტებს.

„ოქრობიჭებს“ ჩვენთან ერთად რაიონის გამგებელი ბატონი ვახტანგ კერესელიძე, მოადგილე თამაზ ქარსელაძე გულშემატკივრობდნენ, კონკურსს ადგილობრივი და რეგიონალური ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

მაშ ასე, ცაგერის ა.ვ. გელოვანის სახელობის საჯარო სკოლის გუნდმა „ოქრობიჭები-2“ ლენტეხის, ონის, ამბროლაურის, გუნდებთან პაექრობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

დიდი მადლობა ყველა ხელმძღვანელს ამ წარმატებისათვის და ბიჭებს, რომელთა სახელები და გვარები მინდა კარგად დაიმახსოვროთ: დავით სალინაძე, ირაკლი სილაგაძე, ნიკა სვანიძე, ლაშა კოპალიანი, ბესიკ კილაძე, გიორგი თოთაძე, ბექა მურცხვალაძე, მიშიკო სალინაძე, გიორგი სალინაძე, ვანო ქორქაშვილი, თორნიკე თვარაძე, სოსო ქლიბაძე, ირაკლი ლარცულიანი, ბაგრატ ტვილდიანი, აკაკი ახვლედიანი, რადგან მათგან კიდევ ბევრ წარმატებას და სიხარულს ველით, მათი მუდმივი გულშემატკივრები.

***

ღირსეული გამარჯვებისათვის „ოქრობიჭები“ რაიონის გამგებელმა ბატონმა ვახტანგ კერესელიძემ რაჭაში ორდღიანი ექსკურსიით დააჯილდოვა.

მართლაც სასიამოვნო იყო ჩვენთვის მათი თვალყურის დევნება ამ ექსკურსიაზე, და რაჭის ღირსშესანიშნაობათა მონახულება, მათ შორის ნიკორწმინდის, ბარაკონის ეკლესიის, შაორის წყალსაცავის—პირველივე დღეს ონში კონცერტით წარსდგა „ოქრობიჭები-2“, ღამე კი რაჭის ულამაზეს კურორტ შოვში გაათიეს, და თან გაიყოლეს ონიდან მათით მოხიბლული თანატოლებისაგან უსაზღვრო კეთილგანწყობა.

რაჭაში გარკვეულ ექსკურსიამძღოლობის თვით ბატონი ვახტანგ კერესელიძე სწევდა და მოგვითხრობდა ამ ლამაზი კუთხის ამა თუ იმ ისტორიას.

დიდი მადლობა ჩვენს გამგებელს ამ დაუვიწყარი მოგზაურობისათვის.

თამარ დავითულიანი

„ოქრობიჭების“ ზოგიერთ წარმომადგენელს ყველაფერთან ერთად ლექსების წერის ნიჭიც აღმოაჩნდა, თუმცა ავტორი საკუთარ თავს ინკოგნიტოდ ტოვებს, ჩვენ მაინც გთავაზობთ რამდენიმე სტროფს:

***

მსუბუქი სიო და სიმღერები
ფარცხის მოხვეულ გზაზე,
მე რომ მგონიხარ მოსაფერები,
სხვა ვის ჰგონიხარ ასე?!
ირგვლივ არავინ, არსად ღრუბელი ცაზე,
მე რომ გიცქერი, იმნარ გრძნობით,
სხვა ვინ გიცქერის ასე?
მე რომ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ,
სხვას ვის უყვარხარ ასე?!

***

თოვლი რომ მოვა,
ლამაზ ფანტელებს ავედევნები,
მოვიბურები ფიფქთა სამოსის
თეთრი მტევნებით,
შენს წამწამებზე დავეკიდები
ვერცხლის მძივებად,
და ნისლს შევერთვი,
როცა შენს თვალებს
დავემძიმები!

არასამთავრობო ორგანიზაციის სგიდით

„ახალ ლეჩხუმში“ არაერთხელ დაბეჭდილა იმის შესახებ, რომ „გიორგავა“ ღელისაგან ძალზედ შეწუხებული მოსახლეობა შველას ითხოვდა.

ღელის კალაპოტი იმდენად ავსებული გახლდათ ჩამოტანილი ქვა—ღორღით, რომ ოდნავი განვიმებისასაც კი ღელე პირდაპირ ქუჩაზე მოედინებოდა და ხშირად ეზოებსაც ტბორავდა.

ქუჩის მცხოვრებლებმა არაერთხელ დააყენეს საკითხი ღელის კალაპოტის გაწმენდისათვის, თითქმის ყველა ინსტანციაში, იყო დაპირებებიც...

მოსახლეობის გულისტკივილი რეალურად ქვედა ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა კარლო კოპალიანმა მიიტანა გულთან, მისი მითითებით სამუშაოს შესრულება დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაცია—გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა და პარტნიორმა ორგანიზაციამ „აფხაზინტერკონტმა“ (ხელმძღვანელები გოჩა დემეტრაძე და არჩილ ელბაქიძე).

ადგილზე სამუშაოს უშუალოდ ხელმძღვანელობდა მენეჯერი მურთაზ თაგვაძე, სადაც დასაქმდა ადამიანები, სასურსათო ანაზღაურებით.

ქუჩის მაცხოვრებლები კმაყოფილი არიან ღელის საფუძვლიანი წმენდით, სამუშაოს მწარმოებლები გულისყურით ეკიდებიან თითოეული მაცხოვრებლის შენიშვნას, მათი მეშვეობით ნაწილობრივ გზაზე გაჩენილი ორმოების მოხრეშვაც კი მოხერხდა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელები ადგილზე ამოწმებენ ჩატარებული სამუშაოების ხარისხს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორგანიზაცია რაიონის თითქმის ყველა საკრებულოში აწარმოებს ეტაპობრივად სხვადასხვა სამუშაოებს, მათ შორის, ქვედა ცაგერის საკრებულოში ეს მათგან განხორციელებული მესამე პროექტია.

დიდ მადლობას უხდიან ქუჩის მცხოვრებლები ბატონ კარლო კოპალიანს, ბატონ მურთაზ თაგვაძეს, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ყველა მშრომელს.

თამარ დავითულიანი

„არც რა მასზე უტკბესი და უკეთილშობილესი პროფესია მეგულება ქვეყნად და არც რა—მასზე უძნელესი და პასუხსაგები“.

„არც რა მასზე უტკბესი და უკეთილშობილესი პროფესია მეგულება ქვეყნად და არც რა—მასზე უძნელესი და პასუხსაგები“

სასწავლო წელი, ასე თუ ისე, მინყნარდა, მაგრამ სკოლებში ჯერაც უამრავი საქმეა. ბარდნალის საშუალო სკოლის ახალგაზრდა დირექტორი, ნიჭიერი, ენერგიული ქალბატონი ***მთვარისა ახვლედიანი*** *ძნელად მოვიხელთეთ. ექსკურსიიდან დაბრუნებული, დაღლილი, მაგრამ დადებითად დამუხტული გახლდათ.*

.... და ჩვენი საუბარიც შედგა.

განათლების სისტემა ყოველთვის უნდა განიცდიდეს ცვლილებებს ქვეყნის პრიორიტეტებისა და ინტერესების შესაბამისად. რეფორმა უწყვეტი პროცესია და ამ პროცესში სპეციალისტების, საზოგადოების ჩართვა და მონიტორინგი წარმატების საწინდარია. თქვენ რეფორმის მიმდინარეობის პროცესში მოხვედით სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. როგორ უყურებთ რეფორმას ზოგადად, როგორია თქვენი, როგორც ხელმძღვანელის, პედაგოგის, მოქალაქის ხედვა, რამდენად მიზნობრივად მიდის ეს პროცესი საგანმანათლებლო ქსელში!

დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე ჩვენს წინაშე დადგა ამოცანა თანამედროვე მოქალაქის ფორმირებისა, რომელსაც ექნება ცოდნის სასურველი დონე, ეროვნული ცნობიერება და გარკვეული უნარჩვევები ნაყოფიერი ცხოვრებისა და თუ სხვადასხვა მასშტაბის პრობლემათა გადასაჭრელად. ამ საქმეში პრიორიტეტი ეკუთვნის განათლების სამინისტროს და მთლიანად განათლების სისტემას, რომელმაც თავის თავზე აიღო ამგვარი საზოგადოების ჩამოყალიბების უმთავრესი მისია.

რეფორმის აუცილებლობა ცხოვრების განვითარებითაა ნაკარნახევი. (თვით სიტყვა „რეფორმაც“ ხომ გარდაქმნას, რისამე შეცვლას გულისხმობს). საბჭოთა სკოლის გარდაქმნის საჭიროებაში დღეს, ალბათ, ეჭვი აღარავის ეპარება. ეროვნული სკოლის რეფორმა, ჩემი აზრით, გულისხმობს პიროვნების საერთო კულტურას, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ—ჩვევების იმ ძირითად ბაზისის შექმნას, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაზე, ზოგადსაკაცობრიობო ღირებულების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. თქვენ როგორ უყურებთ ამას: ხომ არ ზიანდება ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, ქართული კონკრეტიკა, ტრადიციები, პირდაპირ რომ ვთქვათ საქართველოს ხვალინდელი საზოგადოების სული?

დღევანდელი სკოლის მიზანია გააცნობიეროს მოზარდის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც კვლევისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი. საფუძველი ჩაუყაროს ჰუმანურ, ტოლერანტულ, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას. სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს მხატვრულად ესთეტიკური გემოვნება, გაულვიძოს აქტიურობისა და თვითშემეცნების სურვილი. ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბება სკოლამ, ოჯახსა და საზოგადოებასთან ერთად ისე უნდა წარმართოს, რომ მოზარდს ჩაუნერგოს ეროვნულ ფასეულობათა პატივისცემა, ტრადიციების ერთგულება და სარწმუნეობრივი სიმტკიცე. დღევანდელი მოზარდი, თუ ასეთი ვერ ჩამოყალიბდა, ცოდვა რასაკვირველია, ჩვენ, აღმზრდელ პედაგოგებსა და მშობლებს მოგვეკითხება. დღევანდელ მოზარდს სწორედ ჩვენ უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ მხოლოდ ინგლისურის შესწავლა და კომპიუტერის დაუფლებით სრულფასოვანი ადამიანი ვერ ჩამოყალიბდება. მან უნდა გაიზიაროს „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, ნავა სადაო“ (დ. გურამიშვილი). ამას პედაგოგი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა იხელმძღვანელებს ქართული სკოლის მესარძიკვლე იაკობ გოგებაშვილისა და წმინდა ილია მართლის პრინციპებით. ცოდნის შეძენას ხომ „განათლებას“ ეძახის ქართველი კაცი. სწორედ რომ ნათელში პიროვნების გაყვანის ძალა უნდა შესწევდეს აღმზრდელს, მასწავლებელს, რომელსაც შემთხვევით არ უწოდებენ „მოძღვარს“. ამ საპატიო მისიის თავის გართმევა, რა თქმა უნდა, ურთულესია, მაგრამ საზოგადოების მხარდაჭერით—შესაძლებელი.

ერთი ადამიანი ამ შემთხვევაში (დირექტორი) როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს, ძნელია გაუძღვეს ისეთ საინტერესო, მიმზიდველ, მაგრამ ძალზე მგრძნობიარე და რთულ რგოლს, როგორი სკოლაა. როგორ შეხვდით სკოლის მართვაში ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას სამეურვეო საბჭოს და როგორ ჩაატარეთ არჩევნები?

სკოლის დირექცია მიესალმება ყველა იმ სიახლეს, რომელიც ხელს შეგვიწყობს, დაგვეხმარება სკოლის მართვაში, მათ შორის ახალი სტრუქტურული რგოლის—სამეურვეო საბჭოს შექმნას, რომლის დებულება მუხლობრივად იქნა განხილული, გაანალიზებული როგორც პედაგოგებთან, ისე მშობლებთან ერთად. არჩევნებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია საზოგადოებაში. სკოლამ შეძლო არჩევნები ობიექტურად და დებულების ყველა მუხლის დაცვით ჩაეტარებინა. პირველივე ტურში გამოვლინდა 3 მასწავლებელი და 3 მშობელი,, რომელთაც კოლეგებმა და მოსწავლეთა მშობლებმა ნდობა გამოუცხადეს. იმედი გვაქვს, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა იგრძნობს ამ რგოლის არსებობას მის სასიკეთოდ.

როგორ გრძნობთ თავს სკოლის მმართველის ამპლუაში, რა შეიცვალა თქვენი მოსვლიდან დღემდე?

გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მუშაობის ორი ათეული წლის მანძილზე წლევანდელი სასწავლო წელი, ვფიქრობ ყველაზე დაძაბული, პრობლემებით აღსავსე და რთული იყო სკოლებისათვის. სასწავლო წლის დასაწყისიდანვე საშტატო ერთეულების შემცირებამ, შემდეგ ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლამ, მთის კანონით არსებული შეღავათების გაუქმებამ ბევრი პრობლემა წარმოშვა, რისი თავის გართმევა დირექციის სამართლიან და პრინციპულ მიდგომას მოითხოვდა. დამეთანხმებით, ალბათ, ჩვენი რაიონის სკოლებში 10-12 საშტატო ერთეულის გაუქმება მეტად მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა, მით უფრო, როცა სკოლიდან გათავისუფლებული მუშაკი სოციალურად დაუცველი რჩება. კარგი იქნებოდა, სახელმწიფოს მინიმალური დახმარების განევა მაინც შესძლებოდა მათთვის, კომპენსაციის სახით.

რაც შეეხება ვაუჩერულ დაფინანსებას, ჩვენი სკოლა რაიონის სკოლათა იმ ხუთეულშია, რომელთაც ვაუჩერი ხელფასად ჰყოფნის. ა / წ იანვრიდან მაისამდე სამინისტროს არ გამოუყვია კომუნალური და სხვა ხარჯებისათვის არანაირი თანხა, რის გამოც ძალიან გაგვიჭირდა.

პედაგოგთა გულისწყრომა გამოინვია აგრეთვე მთის კანონით დანესებული შეღავათების გაუქმებამ, რის გამოც იანვრიდან ხელფასები შემცირდა. მასწავლებელი კვლავაც იძულებულია საკუთარი ოჯახის მატერიალურად უზრუნველსაყოფად თავის თავზე ან მოსწავლეებთან მუშაობისათვის განკუთვნილი დროის ნაწილი ფიზიკურ ან სამეწარმეო საქმიანობას დაუთმოს, რაც, უდაოდ, გასათვალისწინებელია მომავალში.

დღეს არა ერთი პროექტი შედის სკოლებში: ეს გახლავთ სკოლების რეაბილიტაცია, მშენებლობა, ახალი სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა, სპორტული მოედნების მოწყობა და ა.შ. რა კეთდება ბარდნალის საშუალო სკოლაში ამ მიმართებით?

მოგახსენებთ, ჩვენი სკოლა ლეჩხუმის და არა მარტო ლეჩხუმის საამაყო შვილის ლადო ასათიანის მშობლიურ სოფელში მდებარეობს, რომელიც ემსახურება 7 სოფლის მოსახლეობას. ზემოთჩამოთვლილიდან გამომდინარე, იგი მეტ ზრუნვასა და მხარდაჭერას საჭიროებს. დირექტორის მოვალეობის შესრულებას 2004 წლის სექტემბრიდან შევუდექი. ამ ხნის მანძილზე გარკვეული მუშაობა გავწიეთ სკოლის მატერიალურ— ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. კერძოდ, გასულ წელს შევძელით სკოლის სარებილიტაციო სამუშაოს შესასრულებლად მოგვეწვია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია CEG-ის წარმომადგენლები, რომლებმაც სკოლა 6000 აშშ დოლარის ღირებულების სარემონტო მასალებით მოამარაგეს. სამუშაო ადგილობრივი თემის, ძირითადად კი მამაკაცი პედაგოგების უსასყიდლო შრომის შედეგად შესრულდა. მიმდინარე წელს კი, სკოლისათვის განათლებისა და ფინანსთა სამინისტროს, ასევე რაიონული გამგეობის გადაწყვეტილებით, გამოყოფილი 3628 ლარი სკოლის პედკოლექტივის გადაწყვეტილებით შემდეგნაირად განვკარგეთ: სკოლის ეზო შემოკავდა მავთულებით, 3 კაბინეტში გამოვცვალეთ მერხები და სკამები (24 მერხის, 48 სკამის), სამასწავლებლოსათვის შევიძინეთ ტელევიზორი, ფარდები და სხვა წვრილმანი.

რაც შეეხება ახალი სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობის შეძენას, შარშან მონაწილეობა მივიღეთ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი განათლების სამინისტროს საგრანტო პროგრამაში. განათლების სამინისტროს ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებით სკოლამ გაიმარჯვა მასში, რისთვისაც უდიდეს მადლობას გამოვხატავ სამინისტროს მიმართ. პროექტი ითვალისწინებდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დონის ამაღლებას, რისთვისაც აუცილებელი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. გრანტის დაგვიანებით გადმოცემამ შეაფერხა პროექტის დათქმულ ვადებში შესრულება, (იგი ამ თვის ბოლოს უნდა დავხუროთ). კაბინეტის დაცვის უზრუნველსაყოფად ჩავსვით რკინის კარები, ფანჯრებზე კი—დამცავი გისოსები, შევიძინეთ წიგნების თაროები, მეთოდური ფერადი ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, ელექტროგენერატორი. უახლოეს დღეებში შემოსატანი გვაქვს კომპიუტერი, ასლგადამღები აპარატი, ვიდეოკამერა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი გაზრდილი ფასები არ იძლევა ყველა გათვალისწინებული ნივთის შეძენის შესაძლებლობას, მაგრამ შეძენილი დიდ დახმარებას გაგვიწევს სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვაში.

ასევე ვაპირებთ, ჩავერთოთ „ირმის ნახტომის“ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს სკოლების კომპიუტერიზაციას. რაც შეეხება სპორტულ მოედანს, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი გვპირდება დახმარების გაწევას განათლების სამინისტროს პროგრამაში ჩასართველად.

რა აზრი გაქვთ საერთო ეროვნულ გამოცდებზე, მის ობიექტურობაზე. შარშან ხომ შვილი გაგიხდათ სტუდენტი, ერთხელ კიდევ გილოცავთ. რამდენი ამთავრებს წელს ბარდნალის სკოლას, რამდენი ჩაერთვება გამოცდებში და რამდენი გახდება თქვენი ვარაუდით სტუდენტი?

ეროვნულ გამოცდებიც დროის მოთხოვნით იყო განპირობებული. შარშანდელი გამოცდების ობიექტურობაში თუნდაც ის მარწმუნებს, რომ ყველაზე მაღალი შედეგი სწორედ პერიფერიების, იგივე ონის რაიონის აბიტურიენტებმა აჩვენეს. გამოცდების შედეგებით მადლიერი ვარ. როგორც მშობელი, რადგან ჩემს შვილს შესაძლებლობა მისცა, მოეპოვებინა სახელმწიფო გრანტი ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესტიჟულ ფაკულტეტზე, ასევე, როგორც მასწავლებელი და სკოლის ხელმძღვანელი რადგან რამდენიმე მოსწავლემ შეძლო სახელმწიფო სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. ეს კი სტიმულს აძლევს როგორც წლევანდელ კურსდამთავრებულებს, ისე სკოლის სხვა მოსწავლეებს. მომწონს წლევანდელი სიახლე, საქართველოს ისტორიის, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დამატება საგამოცდო საგნებად, რაც საშუალებას არ აძლევს მოსწავლეს, სკოლაში მხოლოდ 2-3 საგანი ისწავლოს, სხვას კი ყურადღება არ მიაქციოს. ერთადერთი, რასაც არ ვეთანხმები, არის სახელმწიფო გრანტის მიღების გადაწყვეტა მხოლოდ ზოგადი უნარების შედეგების მიხედვით. აქ შარშანდელი ფორმა უფრო მართებულად მიმაჩნია, როცა ყველა გამოცდის შედეგით წყდებოდა ეს საკითხი.

წელს სკოლა შვიდმა მოსწავლემ დაამთავრა. მათგან ხუთი ცდის ბედს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. იმედი მაქვს, ისინი შეძლებენ გახდნენ სტუდენტები, მათ შორის—გრანტის მფლობელიც.

კურსდამთავრებულთა რიცხვმა გამახსენა: როგორია მოსწავლეთა კონტიგენტი და დემოგრაფიული სურათი პერსპექტივაში?

წელს სკოლაში 112 მოსწავლე გვყავდა. მომდევნო სასწავლო წელს, ვფიქრობთ, ეს რიცხვი გაიზრდება, რასაც განაპირობებს რო-

(გაგრძელება გვ. 5)

რეფორმა და სკოლა

რა ხდება?—კომენტარს ოფიციალური სამსახური გვთავაზობს

ინფორმაცია სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შესახებ ჩვენი გაზეთის საშუალებით უკვე მივაწოდეთ მკითხველს. დადგინდა პირველ ეტაპზე გამოვლენილი სოლტაკის ზღვარზე მყოფი ოჯახები, რომლებიც მიიღებენ დახმარებას. ახალი ინფორმაცია და კომენტარი ვთხოვეთ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტო ცაგერის რაიონული განყოფილების უფროსს მარინა ბენდელიანს.

საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო მოსახლეობის დიდ ნაწილს უკიდურეს გაჭირვებაში უხდება ცხოვრება. სტატისტიკური მონაცემებით მოსახლეობის 10% სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფება.

სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამა“ ძირეულად ცვლის ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას. პროგრამა გვაძლევს სახელმწიფო რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას.

პროგრამასთან დაკავშირებით სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში დღეის მდგომარეობით შემოსულია 2975 განაცხადი, რომელთა დამუშავება მოხდა რეგიონალურ განყოფილებაში და განყოფილების 6 სოციალური აგენტის მეშვეობით მოხდა ამ ოჯახების შემოწმება-დეკლარირება დაკიცებული მეთოდოლოგიით, რის შედეგადაც ხდება ოჯახის სარეიტინგო ქულის გამოთვლა.

ოჯახის სარეიტინგო ქულის გამოთვლა ხდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სოციალური აგენტისათვის ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული და ხელმოწერით დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე, რის დამუშავებაც ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით მიღებული შედეგი (სარეიტინგო ქულა) ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ რეიტინგს.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-12 მუხლის თანახმად, ოჯახის სარეიტინგო ქულა წარმოადგენს მყარ ერთეულს, რომლის შეცვლაც შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე სიღატაკის ზღვრული ქულა არის 40001.

განყოფილებაში ეტაპობრივად შემოდის სპეციალური მოწმობები, სადაც მითითებულია ოჯახის სარეიტინგო ქულა, შემადგენლობა და სპეციალური ფორმა №2 რეესტრი, სადაც მითითებულია ის ოჯახები, რომლებიც მოხვდნენ ამ პროგრამაში. დღეის მდგომარეობით პროგრამაში მოხვედრილია სულ 318 ოჯახი, ეხლა მიმდინარეობს ამ საბუთების დამუშავება და პირადი საბუთების შეკვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო წელი გასრულდა

„ბოლოთ ზარი" ცაგერის საშუალო სკოლაში

ცაგერის საჯარო სკოლამ ტრადიციულად ზეიმით გააცილა მეთერთმეტეკლასელები, კიდევ ერთი შესანიშნავი გამოშვება სკოლისა.

მათ მშვენიერი კონცერტი მოუწყვეს პედაგოგებს, მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს.

პირველი მილოცვა და დალოცვა მათ მეუფე სტეფანესგან მიიღეს, დირექტორის, ქალბატონ ნუნუ ჩაკვეტაძის თხოვნით მანვე დაურიგა აბიტურიენტებს საგამოცდო ბარათები.

სკოლის დირექტორმა გზა დაულოცა და ბევრი თბილი სიტყვა უთხრა აღზრდილებს, ახალგაზრდებს გზა დაულოცეს კლასის დამრიგებლებმა მაყვალა ხუბუკელაშვილმა და მზიური გურგუჩიანმა.

მათი ბავშვობა გაიხსენა დაწყებითი კლასის დამრიგებელმა ქალბატონმა ნუნუ კოპალიანმა, ბავშვურმა სურვილებმა ფრიად გაახალისა მეთერთმეტეკლასელები, სიყვარულით მოიგონეს მათი მეორე აღმზრდელი და პედაგოგი, აწ გარდაცვლილი ქალბატონი ნინა ჩაკვეტაძე.

შუალედებში სხვადასხვა მუსიკალური ნომრებით წარსდგებოდნენ ხოლმე მეთერთმეტეკლასელები და მათი მეგობრები, სკოლის სხვადასხვა კლასების მოსწავლეები, ისინიც ულოცავდნენ უფროს მეგობრებს ამ დაუვიწყარ დღეს.

შთამბეჭდავი გახლდათ მათი თანაკლასელის, გიგა კილასონიას მხიარული ლექსები თითოეული მეთერთმეტეკლასელზე, რამაც დამსწრეთა დიდი მონონება დაიმსახურა, საღამოს წამყვანები ნინო და დათო თოთაძეები ლამაზი ფრაზებით კიდევ უფრო ამშვენებდნენ ზეიმს, მათ მიულოცეს სკოლის დამთავრება „ოქრობიჭები-2-ის" გუნდმა და რა თქმა უნდა ჩვეული არტისტობით ამ გუნდის წარმომადგენელმა ბესიკ კილაძემ.

ზეიმს ესწრებოდნენ დირექტორის მოადგილეები ლალი ჩიქოვანი, გულივერ ბრეგვაძე, მხატვრული ღონისძიებების სულისჩამდგმელი დავით ცვარიანი, ქალაქ ცაგერის საკრებულოს თავმჯდომარე ბეჟან ღურჭუმალიძე, განათლების განყოფილების და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ კურსდამთავრებულებს და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ.

თამარ დავითულიანი.

ბავშვი_სიყვდითა და სიხალოლით სავსე

კიდევ ერთი თაობა გამოეთხოვა მშობლიური ბაღის კედლებს. ამჯერად, №2 საბავშვო ბაღის აღზრდილები ზეიმობდნენ. ემოციური დატვირთვა ლამაზად გაწყობილი დარბაზში შესვლისთანავე იგრძნობოდა, რომლის მორთვაში დიდი წვლილი მიიღეს ქალბატონებმა ნატო ფოჩხიძემ, ფიქრია კოპალიანმა, მიმოზა კოპალიანმა და ნათია სილაგაძემ. პატარებიც მღელვარედ ელოდნენ კონცერტის დაწყებას.

და სანახაობაც დაიწყო...

ლამაზ კაბებში გამოწყობილმა გოგონებმა საოცარი არტისტიზმით წარმოგვიდგინეს ყვავილების მეჯლისი. ზოგი მორცხვ იას განასახიერებდა, ზოგიც ნაზ ყაყაჩოს. არც ბიჭები ჩამორჩნენ მათ და ომახიანად შემოსძახეს ქართული სიმღერები. ცოტა ხანში კი ცეკვა „შალახოს" ცეცხლიც დაანთეს დარბაზში, მუსიკალურ გაფორმებას ქალბატონი მზია ცხადია უზრუნველყოფდა.

პაწიებმა მაყურებლის თვალწინ გააცოცხლეს ძველი თბილისი—ყარაჩოღელები თავიანთი „მუხამბაზითა" და განიერი შარვლებით, კნეინები კი განუშორებელი ჩიხტი კოპებით.

პატარები გამოირჩეოდნენ ხალასი ნიჭითა და საღი გონებით. რაც, უდავოდ, აღმზრდელ-მასწავლებლები მაგული კოპალიანის, ნონა ჩაკვეტაძის, ელისო ცვარიანისა და აღმზრდელის თანაშემწის ლალი ბახსოლიანის დამსახურებაა.

ზეიმის სიხარულს იზიარებდნენ რაიონის გამგეობის საკრებულოსა და განათლების წარმომადგენლები. დასასრულს, ბაღის გამგემ ქალბატონმა ლელა კვირიკაშვილმა ბავშვებს ცხოვრების გზა დაულოცა. მადლობა გადაუხადა რაიონის გამგეობას, საკრებულოს თავმჯდომარეს ბეჟან ღურჭუმალიძეს, რომელიც პატარებს ხელდამშვენებული ეახლა, საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ორგანიზაციასა და ყველა მოწვეულ სტუმარს.

ჩვენც ვუერთდებით მათ სიხარულს. პედაგოგ-აღმზრდელებს კი ვუსურვებთ კიდევ მრავალი სასახელო თაობა აღეზარდოთ.

ეკა ყვირილიანი

ჩვენ გვწერენ

ჭითილი მედიოსეზის წყალობით

რამდენიმე წელია ჩემი ჯანმრთელობა გაუარესდა და მიჯაჭვული ვიყავი საწოლს. ჩემი მდგომარეობა გულთან მიიტანეს კეთილმა ადამიანებმა და ყოველგვარი ღონისძიება გაატარეს, რომ მე მოვრჩენილიყავი. რამდენიმე ღამე გაატარეს ჩემს საწოლთან და იმედს მაძლევდნენ, რომ განვიკურნებოდი. ხშირად საკუთარი ოჯახიდან მოჰქონდათ ისეთი წამლები რომელსაც მე ვერ ვშოულობდი. დღეს, რომ ცოცხალი ვარ და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს 9 მაისს დავესწარი, მხოლოდ მათ უნდა ვუმადლოდე.

გულითა და სულით მინდა ჩემი ოჯახის სახელით უღრმესი მადლობა გამოუცხადო დიდად დამსახურებულ ექიმებს მანანა ვლადიმერის ასულ ხეცურიანს, ვიოლა თედორეს ასულ ზურაბიანს და განსაკუთრებით ცნობილ ქირურგს ალუდა ზურაბიანს, ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, სიხალისეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი რაიონის მცხოვრებლების საკეთილდღეოდ,

პოსტა ალეჭსის ძე სილაგაძე
მეორე მსოფლიო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი

სასაფლაო ოაზისივით უნდა გამოიყურებოდეს

ქალაქს ახალი სასაფლაო ჰაერივით სჭირდებოდა და აგერ უკვე რამდენიმე წელია გაიხსნა კიდეც: შესაფერისი ადგილია, მშრალი და მზიანი. ასეც უნდა იყოს—ჩვენი წინაპრები ხომ სასაფლაოსთვის ყველაზე საუკეთესო ადგილს შეარჩევდნენ ხოლმე.

ამ დღეებში დაკრძალვის პროცესიას დავესწარი. სასაფლაო შემოკავებულია და პირუტყვისაგან დაცული. მაგრამ ერთი რამ მაინც მომხვდა თვალში. სასაფლაოს შუაგულში კარგა მოზრდილი ღრმულია ნაგავითა და სხვადასხვა ნარჩენებით სავსე. ღრმულის ამოვსება აშკარად აუცილებელია, მაგრამ არა სიბინძურით.

გავწმინდოთ სასაფლაო, ჩვენი მიცვალებულების საუკუნო განსასვენებელი, მოვუაროთ მას და გავალამაზოთ. აქ მთელს ტერიტორიაზე ერთი ძირი ხეც არ დგას უდაბნოსავით გამოიყურება, ასე რომ ირგვლივ გამწვანებაც არ აწყენდა.

არა მარტო ჩვენი მიცვალებულის საფლავი, არამედ მთლიანად სასაფლაო ოაზისივით უნდა გამოიყურებოდეს.

ქ. ყურაშვილი.

ლიტერატურულ საღამოზე

ქართველი კაცის შემეცნებაში აკაკი წერეთელი ქართველობის ხატად და სიმბოლოდაა აღბეჭდილი. მის სახელთან გვარის მიწერა არც კია აუცილებელი, რადგან იგი „ერთადერთი აკაკია" და მისი ვინაობა დაზუსტება—დაკონკრეტებას არ საჭიროებს.

აკაკი წერეთლის პოეზიას მიეძღვნა 1 ივნისს ცაგერის საქალაქო-ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში ჩატარებული ლიტერატურული საღამო თემაზე „აკაკი წერეთლის პოეზიის ღვთისმეტყველება". საღამოს ორგანიზატორი გახლდათ ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე მაყვალა კოპალიანი და ბიბლიოთეკის თანამშრომლები ნატო ჭაბუკიანი, ბელა მეშველიანი, დალი მურცხვალაძე.

ქვედა ცაგერის საშუალო სკოლის მე-6, მე-10, კლასის მოსწავლეები ერთმანეთს ეცვლებოდნენ აკაკის ლექსების მხატვრულ კითხვაში. ბევრმა ნაცნობმა ლექსმა გაიჟღერა— „სულიკო", „ციცინათელა", „აღმართ-აღმართ", „ჩემი ხატია სამშობლო" „ღამურა" და სხვა, რომელსაც თან სდევდა საკონფერენციო განხილვა, ბავშვებს აკაკის ლექსი თუ პოემა რელიგიური კუთხით ჰქონდათ დანახული. ყველა თემას ლაიტმოტივად გასდევდა სიტყვები—„აკაკი პატარა საქართველოა, მამულისთვის სანთლად ანთებული, მის საკურთხეველზე ჩამომდნარ-ჩამოღვენთილი, წარსულის მადიდებელი და მომავლის მჭვრეტელი, წინამძღოლთა გამმხნევებელი და წინამძღოლთა დამსამარებელი".

ღონისძიების დასასრულს მადლიერების სიტყვები არ დაიშურა ქალბატონმა ნანული სადილიანმა, ლიტერატურული საღამოს ორგანიზატორისა და მონაწილე ბავშვებისადმი სასიამოვნო შთაბეჭდილებით წარსდგა მსენელის წინაშე ბატონი დავით სანთელაძე და აღნიშნა, რომ განსხვავებული კუთხით დაანახეს ბავშვებმა მას აკაკის ლექსები, აკაკი, რომელიც თავის სტრიქონებთან ერთად დღესაც დააბიჯებს საქართველოში, რათა ძვირფასი სახატე—მთელი ქვეყანა, უძვირფასესი ხატით—სათაყვანებელი საქართველოთი დაამშვენოს და გაამრავალფეროვნოს.

ეკა ბენდელიანი

„არც რა მასზე უტკბესი და უკეთილშობილესი პროფესია მეგულება ქვეყნად და არც რა—მასზე უძნელესი და პასუხსაგები“

(დასასრული)

გორც სკოლის ხელსაყრელი მდებარეობა, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად გატარებული სამუშაოები, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი ყველა საგანში მოსწავლეებს სასურველი ცოდნა შესძინონ.

ფაქტია, რომ მე-11 კლასელები კანტი-კუნტად დადიან გაკვეთილებზე. სამწუხაროდ, მასწავლებლად ითვლება ის, ვინც სკოლის გარეთაა, ანუ რეპეტიტორი. ეს, ცხადია, მოქმედებს სკოლის ავტორიტეტზე. რამდენად ნორმალურია ეს პროცესი? მინდა აქვე გულახდილად მიპასუხოთ: არის თუ არა ნდობის დეფიციტი სკოლისა და მშობელს შორის და რით დაიძლევა ეს ბარიერი.

გულწრფელად მოგახსენებთ, რომ სკოლაში მეთერთმეტეკლასელთა გამოცხადების პრობლემა არასოდეს გვქონია. მოსწავლეთა დამატებითი მუშაობა, მათ შორის, კერძო მასწავლებლებთანაც, არ აისახება სასწავლო პროცესზე მათი მოუსვლელობით. მშობელსა და ბავშვს უნდა სჯეროდეს, რომ სკოლაში გატარებული დრო მოზარდისათვის დროის დაკარგვა კი არა, ცოდნის შეძენის საშუალებაა. ამის დაძლევას ვხედავ როგორც მასწავლებლის მუშაობის გააქტიურებით, 2008 წელს დაგეგმილი პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარებით, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმების შემოღებით. გამართლებულად მივიჩნევ 12 წლიან სწავლებას, სადაც მესამე საფეხურზე მოსწავლე განიტვირთება არასაჭირო საგნებიდან და გამოთავისუფლებული საათები დაეთმობა აუცილებელ და საჭირო საგნებს, ანუ იგი შეძლებს უმაღლესი სასწავლებლისათვის საკმარისი ცოდნა გაკვეთილზე შეიძინოს.

კარგი მასწავლებელი სახელმწიფო აუცილებლობაა. რას გვეტყვით მასწავლებელთა გუნდზე, როგორია პედაგოგთა საშუალო ასაკი, პროფესიონალიზმი, რა კეთდება რეფორმისა და ახალი სტანდარტების შესაბამისად მასწავლებელთა გადასამზადებლად?

სკოლაში 23 მასწავლებელია, მათ შორის 65 წელს გადაცილებული—მხოლოდ ერთი, უმეტესობა საშუალო ასაკისაა, გვყავს ახალგაზრდა კადრებიც. სკოლაში 8 მამაკაცი მასწავლებელია, რაც თავისთავად დადებითად აისახება სკოლის მუშაობაზე. სკოლა მაღალკვალიფიციური კადრთა ნაკლებობას არ განიცდის, ისინი ინტერესს იჩენენ სიახლეების მიმართ. სურთ, ჩაერთონ ე. წ. გადამზადების პროგრამაში, მაგრამ მცირე ანაზღაურების პირობებში განიცდიან ფასიანი ტრენინგ—კურსების შემოღებას და გულწრფელად მისტირიან საბჭოთადროინდელი კურსების არსებობის ფორმას.

რა რეფორმებიც არ უნდა შემოგვთავაზონ, რა სტანდარტებიც, ვერაფერი ცვლის გაკვეთილს თუ გაკვეთილი შედგა, მიზანი მიღწეულია სწავლა—აღზრდის პროცესიც სწორად მიდის და მაინც, რა არის თქვენთვის გაკვეთილი—რა განცდა და მუხტი, რა ემოცია და პასუხისმგებლობა?

რასაკვირველია, სკოლაში შეუცვლელი დატვირთვა აქვს გაკვეთილს. ჩემთვის გაკვეთილი ურთულესი, მაგრამ საოცრად მიმზიდველი პროცესია, ერთი მხრივ—უდიდესი ენერგიის მშთანთქავი, მეორე მხრივ—ახალი და უშრეტი ენერგიით ამვსები. ვერ წარმომიდგენია, არ შევიდე გაკვეთილზე, თუნდაც ანაზღაურების გარეშე მომიხდეს ეს. თითოეული გაკვეთილი ჩემთვის ჩვენს ენასთან, სიტყვიერებასთან, ხელოვნებასთან ზიარებაა, მოზარდთა გულებისაკენ გზის გაკვლევა, ამავე დროს მათთვის ცოდნის მიღების, სულიერების გზაზე დაყენების შეუცვლელი საშუალებაა.

კიდევ ასეთი კითხვა: რას გეგმავს სკოლის დირექტორი და დირექცია სამომავლოდ, პრობლემებიც ხომ არ გვეთქვა?

ჩემი მიზანი იმთავითვე სკოლის წინაშე მდგარი ურთულესი და საპატიო მისიის თავის გასართმევად სკოლის პედკოლექტივის მობილიზება იყო, რაც თავისთავად გულისხმობს უდიდეს მომთხოვნელობას როგორც საკუთარი თავის, ისე კოლეგების მიმართ.

მომავალ სასწავლო წელს სკოლის დირექციას არ მოუწევს მარტო მუშაობა. სკოლის მართვაში ჩაერთვება სამეურვეო საბჭო, რაც იმედია გაგვიადვილებს პრობლემათა დაძლევას. სკოლაში ხომ ძალიან ბევრი პრობლემაა იგივე მატერიალურ—ტექნიკური ბაზისა თუ ზემოთაღნიშნული სხვა პირობების არსებობით.

ბოლო შეკითხვაც: რა მოგწონთ თქვენს პროფესიაში განსაკუთრებით, რას უყურებთ მნიშვნელოვანს და რა არის ყველაზე რთული?

ვფიქრობ, ამ კითხვაზე ნანილობრივ უკვე გიპასუხეთ, თუმცა ერთს მაინც დავამატებდი: ჩემს პროფესიაში განსაკუთრებით მომწონს აღმზრდელის, მოძღვარის როლი, რაც თავისთავად უმნიშვნელოვანესიცაა და ურთულესიც. სულხან-საბას იგავის პერიფრაზას რომ მოვუხმო „არც რა მასზე უტკბესი და უკეთილშობილესი პროფესია მეგულება ქვეყნად და არც რა—მასზე უძნელესი და პასუხსაგები.“

მზევინარ ძნელაძე

ეს იყო...

ეს იყო 1950 წლის ივნისში. ბავშვი გამიხდა ავად. მედპერსონალის მიერ გატარებულ ღონისძიებას შედეგი არ ქონდა, ბავშის მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდებოდა. მირჩიეს წამეყვანა ახალჭალას. დავიქირავე ცხენი, ავეკიდე ბარგი-ბარხანა და გავსწიე ახალჭალისაკენ.

სეზონი ახალი გახსნილი იყო, ერთი სამოთახინი ფარდული შენობის მეტი შენობა არ იყო, ის კი დაკავებული იყო, ადგილზე მყოფი მწყემსების დახმარებით წიწვით, ხის ტოტებით გავაკეთე კარავი, ყავარი მწყემსებმა მიშოვეს და დავტოვე ბავშვი ბებიასთან ერთად. მაშინ მოგეხსენებათ მობილური არ იყო, რომ ყოველდღიურად გამეგო ბავშვის მდგომარეობა, ერთი კვირის შემდეგ ავედი და რა ვნახე: ბავშვი სრულიად ჯანმრთელი, არავითარი არ აწუხებდა. მან იქ გაატარა ორი კვირა და სრულიად ჯანმრთელი ჩამოვიყვანე სახლში—მეორე ბავშვთან ერთად. მეორე წელსაც მყავდა იქ და შემიძლია თავისუფლად გითხრათ, რომ იმის შემდეგ მათი ავადმყოფობა არ განმიცდია.

იმ დროს ახალჭალის ტერიტორია პირუტყვ და ღორების საძოვარს წარმოადგენდა, არავითარი პირობები არ იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უგზოობის გამო გადაადგილება შესაძლებელი იყო ცხენით ან ხარებით. მაშინ ვფიქრობდი ნუთუ არ უნდა გამოჩნდეს ისეთი ვინმე, ვინც ყურადღებას მიაქცევს ამ უნიკალურ ადგილს, ბავშვთა ჯანმრთელობის კერას.

1961 წლამდე აგარაკი ასეთ მდგომარეობაში იყო, როგორც ამის საშუალება მომეცა—რაღაც მეკითხებოდა რაიონში—ივნისის თვეში ორ მეგობართან ერთად ფეხით დავადექით ე. წ. ახალჭალის გზას და დიდი გაჭირვებით ავედი აგარაკზე, დავრწმუნდი რომ შესაძლებელი იყო სამანქანო გზის გაკეთება, სადაც ივლიდა ორხიდიანი მანქანები მაინც. პირველი შესაძლებლობისავე 1962 წელს დავიწყეთ გზის კეთება. ტექნიკის მხრივ გვყავდა მხოლოდ ერთი მცირე ძალოვანი ტრაქტორი, ძირითადად პრობლემა უნდა გადაგვეწყვიტა ხელით მუშაობით.

დაირაზმა ქალაქის მთელი აქტივი, შაბათობების სახით დაუზარებლად მუშაობდა ყველა მამაკაცი, მონდომებამ შედეგი გამოიღო და სეზონის დასაწყისისათვის—ივნისისთვის—პირველი მგზავრი მანქანით ავიდა აგარაკზე .

სახელდახელოდ აგარაკის ტერიტორია შემოკავებული იქნა მავთულბადით, არავითარი პირუტყვი შიგნით ვერ შედიოდა, აგარაკს დაუყენეს ხელმძღვანელი და დავიწყეთ სახლების მშენებლობა. იმ წელს მხოლოდ ორი სამ-სამ ოთახიანი სახლი გავხსენით. დავამზადეთ საკმაო რაოდენობით ყავარი—კარვებისათვის.

1964 წლისათვის ავაგეთ ორი ხის შენობა პიონერთა ბანაკისათვის, ამ სახლში ერთად ისვენებდა 36—ბავშვი 15—დღის განმალობაში. დამსვენებელთათვის აშენდა ოთხი სამ-სამ ოთახიანი სახლი, ამ ღონისძიებას მხარი აუბა საატყეო მეურნეობათა რაიკავშირმა და სხვებმა, რომელთაც თავიანთი მუშამოსამსახურეთათვის ააშენეს 2-3 ოთახიანი სახლები. ასე რომ ერთდროულად საშუალება იყო დაესვენა 200-მდე ადამიანს.

დამსვენებელთა მომსახურეობისათვის რაიკავშირის მიერ მოეწყო თორნე, დამსვენებელი ყოველდღიურად მარაგდებოდა ახალი ლავაშით, გახსნილი იყო პირველმოხმარების სავაჭრო ობიექტი.

მთელი სეზონის განმავლობაში დამსვენებლებს ემსახურებოდა ექიმი და მედდა—სათანადო პირველი მედიკამენტებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ აგარაკის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული იყო კოლმეურნეობათა და კერძო პირთა ფერმები—დამსვენებლები უზრუნველყოფილი იყვნენ ხორცით და ხორციანი პროდუქტებით, რძისა და რძის პროდუქტებით. რადგან სამანქანო გზა იყო, ახლო სოფლებიდან ყოველდღიურად მოჰქონდათ გასაყიდად ხილი და სხვა პროდუქტები. ერთი სიტყვით დამსვენებელი ნამდვილად კმაყოფილი რჩებოდა—რაც მთავარია ბავშვების ჯანმრთელობა უზრუნველყოფილი იყო. ასე გაგრძელდა 1971-წლამდე, შემდეგ პერიოდზე ვერაფერს ვიტყვი.

ას სტრიქონების წამკითხველმა არ იფიქროთ, რომ ეს სტრიქონები დავწერე თავის გამოჩენისათვის—არა; ეს დამაწერინა იმ ამბავმა, რასაც ახლა ვისმენ ახალჭალის შესახებ. როგორც ამბობენ ახალჭალა დღეს ისეთივე მდგომარეობაშია როგორც იყო 1950 წელს-შენობა ნაგებობა აღარ არის, მოპარულია, ზედმეტია საუბარი სამანქანო გზაზე. კიდევ მეტი ტყის „მოყვარულებს“ შიგ აგარაკკში მოუჭრიათ წიწვიანი ხეები—როგორც ჩანს—არავინ არ ფიქრობს, აგარაკის ფუნქციის აღდგენაზე, უფრო სწორად ახალგაზრდობის, შვილების ჯანმრთელობაზე, რადგან ახალჭალა ხომ ბავშვების ჯანმრთელობის უებარი კერაა.

მე ვფიქრობ, რომ რამდენიმე დღით ერთეული ბავშვების ბორჯომის პარკში გასეირნება, ბევრად ვერ გაუმჯობესებს ბავშვის ჯანმრთელობის საქმეს. დაბეჯითებით შემიძლია, თქვა, რომ თუ გვინდა ჩვენი ბავშვების მყარი ჯანმრთელობა, უნდა აღვადგინოთ ახალჭალა.

იმ დროს ბავშვთა დასასვენებელი ღონისძიებას პიონერთა ბანაკები ეწოდებოდა—ეხლა პატრიოტთა ბანაკები ვუწოდოთ—მთავარია ჯანმრთელობა.

თუ ვინმე გამოეხმაურება ამ წერილს—რათქმაუნდა პრაქტიკული საქმით—ალბათ მასაც ტკბილად მოაგონდება რამდენიმე წლის შემდეგ მისი ნაკეთები საშვილიშვილო საქმე.

კონსტანტინე ღურჭუმალიძე

მოსაგონარი

მერაბ დავითულიანი

მას ხშირად შევხვდებოდით ცაგერის ქუჩებში: ენერგიულად, საქმიანად დააბიჯებდა კეთილ და უშრეტ სალამს მოგაგებდათ.

„ახალი ლეჩხუმის!“ ხშირი სტუმარი იყო. ჟურნალ—გაზეთებით დატვირთული ხშირად მოკრძალებით შემოაღებდა რედაქციის კარს, სხვადასხვა ჟანრის საინტერესო მასალას შემოგვიგდებდა, ხანაც იუმორისტულსა და მოკრძალებითვე გვკითხავდა ხომ არ დაბეჭდავთო..

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა კაცი, ზუბის საშუალო სკოლის დირექტორი მერაბ დავითულიანი, რომელსაც ბევრი ოცნება ჰქონდა წინ, არა ერთი მიზანი და საფიქრალსაკეთებელი.

ძალიან დააკლდება იგი პირველ რიგში საკუთარ ლამაზ ოჯახს, მისსავე მშობლიურ სოფელს—ზუბს, ზუბის სკოლას და სრულიად ლეჩხუმს.

ასეთი ყოფილა განგების ნება.

ლეჩხუმიდან საექსკურსიოდ წასული კაცი ბათუმში ზღვაში ჩავიდა გასაგრილებლად და... მისივე მოსწავლეების წინ აღესრულა.

დასანანია, ნამდვილად დასანანი.

ჩვენს გაზეთსაც დააკლდება მისი მადლიანი სიტყვა.

გაზეთის რედკოლეგია სამძიმარს უცხადებს მერაბ დავითულიანის ოჯახს.

„ახალი ლეჩხუმის“
რედაქცია

უახლესი მეზობლები თანაუგრძნობენ თეიმურაზ ახვლედიანის ოჯახს

აკაკი შიოს ძე ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ანზორ, მათიკო გუგავები, რომეო მანდარია, დათო საღინაძე თანაუგრძნობენ ბიძინა გუგავას ოჯახს

თინა კოპალიანი-გუგავას

გარდაცვალების გამო.

მზევინარ ძნელაძე, ბუხუ შკუბულიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

თინა კოპალიანი-გუგავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლესი მეზობლები თანაუგრძნობენ მარინა სვანიძეს და თეიმურ ახვლედიანს მაზლისა და ძმის

აკაკი შიოს ძე ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმი“ სარედაქციო კოლექტივი თანაუგრძნობს მარინა სვანიძეს და თეიმურ ახვლედიანს

აკაკი ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახს

თინა კოპალიანი-გუგავას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო სვანიძესა და გოგი ბენიძეს დედამთილისა და დედის

მარიამ ბენიძის

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთი, საქართველოს ჩემპიონატი

ლამის ცაგერი გახდა ჩემპიონი

საქართველოში გამართული ასპარეზობებიდან ყურადღების ცენტრში ფრენბურთში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატიც იყო. ეს გასაგებიცაა— მთავრდებოდა გათამაშება და უძლიერესი ოლიმპიური ცენტრისა და ცაგერის გუნდებს შორის გამართული ფინალური მატჩის შემდეგ დასახელდებოდა. შეგახსენებთ, რომ 6-მა გუნდმა ჩემპიონატი დაიწყო წრიული სისტემით.

მერე დარჩა ოთხი (გამოაკლდა „მცხეთა" და „შევარდენი"). კიდევ ორი— ქუთაისი და თსუ იყვნენ. სწორედ მათ შორის გათამაშდა მესამე საპრიზო ადგილი. იმარჯვა თსუ-მ 3:0.

ფინალი ღირსეული გამოდგა. ორივე გუნდს შეეძლო გამხდარიყო ქვეყნის ახალი ჩემპიონი გადამწყვეტი გამოდგა მესამე პარტია (პირველი ორი ფრედ დასრულდა). აქაც თამაში გარდამავალი უპირატესობით განვითარდა, ერთხანს ცაგერელები იგებდნენ კიდეც, მაგრამ თბილისელებს ეყოთ მობილიზების უნარი და მატჩი საბოლოოდ თავის სასარგებლოდ დაამთავრეს—3:1 (31:33, 25:17, 25:21, 25:14).

გაზეთი „ლელო".
4 მაისი 2006 წ.

P.S. ქება და ქება ჩვენი რაიონის ფრენბურთელებს, რომლებმაც თანმიმდევრობით დაამარცხეს სპორტის აკადემიის, ქ. ქუთაისის, ქ. მცხეთის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. მართალია ფინალური შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ ვერცხლის მედლები და საპატიო II (მეორე) ადგილი ლეჩხუმისათვის დიდი საჩუქარია.

მადლობის ღირსნი არიან გუნდის ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ სალინაძე, მოთამაშეები ძმები დათო და ლაშა ლიპარტელიანები, მამუკა მუშკუდიანი, ზალიკო ხაბულიანი, ირაკლი ბრეგვაძე, თემური ჭაბუკიანი და ოთარ სალინაძე.

ვულოცავთ რაიონის ფრენბურთელებს ამ დიდ წარმატებას.

რაიონული ტურნირი

ქვეყნის პირველობისათვის მზადების პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი აღმოჩნდა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოყურეშის, ლასურიაშის; ჩხუტელის, ქვედა ცაგერის, სპორტული სკოლის და ჭალისთავის გუნდები. შეჯიბრება ჩატარდა ორ ქვეჯგუფში წრიული სისტემით.

ფინალში ქვედა ცაგერის გუნდმა დაამარცხა სპორტული სკოლის ფრენბურთელები და მოიპოვა შეჯიბრების მთავარი პრიზი.

მესამე ადგილზე გამოვიდა სოფ. ჩხუტელის ფრენბურთელთა გუნდი.

ჩემპიონი და საპრიზო ადგილზე გამოსული გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ფულადი პრიზებით.

გიორგი კვირიკაშვილი
ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ქ. ცაგერში ჩატარდა მასობრივი სპორტული ღონისძიებები, რომელსაც კოორდინაცია გაუწია ახლადშექმნილმა კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სამსახურმა

მასობრივ გარბენაში ვაჟთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

1. ლევანი სალინაძე (ქვედა ცაგერის საშ. სკოლა).
2. ბესიკ კილაძე (ცაგერის საშ. სკოლა).
3. ვანო ქორქაშვილი (ცაგერის საშ. სკოლა).

გოგონათა შორის

1. ნინო ახვლედიანი (ცაგერის საშ. სკოლა).
2. ქეთინო შკუბულიანი (ქვ. ცაგერის საშ.. სკოლა).
3. ხატია კვირიკაშვილი (ჩხუტელის საშ. სკოლა).

მკლავჭიდში აბსოლუტურ პირველობაში შემდეგი შედეგი დაფიქსირდა:

I ადგილი– ბერდია ახვლედიანი (ცაგერის საშ. სკოლა).
II ადგილი– აკაკი ჯანელიძე (ზუბის საშ. სკოლა).
III ადგილი– დათო ჩაკვეტაძე (ზუბის საშ. სკოლა).

სიმძიმეების აწევაში

I–ადგილი აჩიკო ფალავანდიშვილი (ბარდნალის საშ. სკოლა).
II ადგილი დათო ჩაკვეტაძე (ზუბის საშ. სკოლა).
III ადგილი გიორგი მანდარია (ზუბის საშ. სკოლა).

ჭადრაკში ბლიც ტურნირში ვაჟთა შორის გაიმარჯვა **ნიკა სალინაძემ** (ცაგერის საშუალო სკოლა)

გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლე **ქეთევან სალინაძე.**

გ. კვირიკაშვილი

სიბრძნის საგანძურიდან

„ცხოვრებისაგან მხოლოდ კარგი უნდა აიღო".

■ ■ ■

„სიცოცხლეს დასასრულისკენ მივყავართ."

■ ■ ■

„თითოეული ჩვენთაგანი თავისი საქციელის გამო პასუხისმგებელია მთელი კაცობრიობის წინაშე."

■ ■ ■

„რასაც აკეთებ, ყველაფერი სიყვარულით უნდა აკეთო და ყველაფერი შესანიშნავად გამოვა."

■ ■ ■

„კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია."

■ ■ ■

„ბედნიერებამ არასოდეს იცის ზომა".

■ ■ ■

„შეუმჩნეველი გული და ყოფაქცევა უმთავრესი დიდებაა დედაკაცისა."

■ ■ ■

„ღვთისაგან ბოძებული დრო არის წმინდა, ნუ ეცდები ნურაფრის შეცვლას, მიჰყევ დინებას."

■ ■ ■

„წარსულისაგან ვისწავლი, აწმყოთი ვიცხოვრებ და მომავლის იმედი მექნება."

ვიტალი დარასელიას თასზე

ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირში ცაგერის „ხვამლის" გუნდმა (მწვრთნელი პორფილე კოპალიანი) ჩაატარა II (მეორე) წრის კალენდარული მატჩები, სადაც ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

„ხვამლი"– „მართვე" (ვარციხე) 2:2:
„იმერეთი" (ქუთაისი) –„ხვამლი" 2:2
„ხვამლი"–მართვე 2003" (ქუთაისი) 4:3
„ხვამლი"– „ბაში" (ქუთაისი) 3:0
„ხვამლი"–„ჩხერიმელა" ხარაგოული 1:0
„რუბიკონი" ვანი– „ხვამლი" 4:1
„ხვამლი"–„საირმე" ბაღდათი 1:0

ტურნირი გრძელდება.

ოქრო და ბრინჯაო თბილისიდან

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში 1992-1993 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

რაიონის მოჭიდავეთა გუნდმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი: კობა ქომეთიანი) ბრწყინვალედ იასპარეზა და მოიპოვა I—I (პირველი) და 1—III (მესამე) ადგილი.

ქვეყნის ჩემპიონი გახდა ჩხუტელის საშუალო სკოლის მოსწავლე **ირაკლი დაშნიანი** II (მესამე) საპრიზო ადგილი წილად ხვდა ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეს **თემურ ახვლედიანს.**

ჩვენი მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ შესაბამისად ოქროს და ბრინჯაოს მედლებით, სხვა პრიზებით.

ზ. კვირიკაშვილი

ვულოცავთ!

ნუგეშა კოპალიანს, ბექან ლურჭუმალიძეს!

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

მეგობრები

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის სს „მანდარიას სტამბაში"
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 70780, 73499